ა(ა)იპ "ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი'' ფინანსური ანგარიში

5.12 **ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი** (05 14) 2022 წელს გამოყოფილი იქნა 262.8 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 262.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	05 14	კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარება
პროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ „ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი“	
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ცაგერში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდება სამ ძირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად. პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდებისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ. პროგრამა შედგება შემდეგი შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან: - ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა; - მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამა; - მოსწავლე ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა. ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში	

	მონაწილეობას;		
დაგეგემილი საბოლოო შედეგი	სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა; ახალგაზრდებისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდებისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.	მიღწეული შედეგი	ახალგაზრდებისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება;

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ახალგაზრდებისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება;	20%	25%	25%		

2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	15%	20%	20%		